საიდ. N81808/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №69-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის „სპირიტს ინთერნეიშენალ ბ.ვ.“ (Spirits International B.V.) N69-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 09 მარტის N457/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „სტორი СТОРИ STORI “ (საიდ. N81808/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „სტორი“-ს სახელზე რეგისტრაციის შესახებ 33-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანია „სპირიტს ინთერნეიშენალ ბ.ვ.“ (Spirits International B.V.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სადავო სასაქონლო ნიშანი მსგავსია კომპანიის „სპირიტს ინთერნეიშენალ ბ.ვ.“ (Spirits International B.V.) სახელზე მადრიდის შეთანხმების ოქმით დაცული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნისა „STOLI“ (IR 739600D) 32-ე და 33-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის. ნიშნები მსგავსია, როგორც ფონეტიკურად, ასევე გრაფიკულად. სადავო და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია, რაც ზრდის ნიშნებს შორის მსგავსებას.

აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი ლათინურ ანბანთან ერთად შესრულებულია კირილიცაზე და ქართული ანბანით, აღნიშნული ნიშნებს ვერ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან ნიშნები ფონეტიკური თვალსაზრისით აღრევამდე მსგავსია.

აპელანტის განმარტებით, კომპანია „სპირიტს ინთერნეიშენალ ბ.ვ.“ (Spirits International B.V.) ფლობს მადრიდის შეთანხმების ოქმით დაცულ და საქართველოზე გავრცელებულ სასაქონლო ნიშნებს, რომლებზეც დატანილია სიტყვიერი აღნიშვნა „STOLI“: „STOLI“ (IR 739600D),

(IR 1109469),

(IR 1136005),

(რეგ. N18435),

(რეგ. N18433), 

(რეგ. N18432),

(რეგ. N18430),

(რეგ. N18434),

(რეგ. N18431),



(რეგ. N10933), 

(რეგ. N10931) 

(რეგ.

N10930), 

(რეგ. N10932),

(რეგ. N10929).

აპელანტმა სააპელაციო პალატაში საქმის განხილვის დროს დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა სადავო ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სადავო სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 09

მარტის N457/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „სტორი СТОРИ STORI“ (საიდ. N81808/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „სტორი“-ს სახელზე რეგისტრაციის შესახებ 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

დაინტერესებული მხარე, შპს „სტორი“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია მხოლოდ ლათინური ასოებით, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური და ქართული ანბანით, ასევე კირილიცაზე.

დაინტერესებული მხარის პოზიციით, ნიშნებს შორის არსებული ერთი ასოს განსხვავება მათ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას. ასოები „R“ და „L“ მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ზრდის ნიშნებს შორის ფონეტიკურ განსხვავებას. დაინტერესებული მხარის პოზიციით, დადგენილი პრაქტიკით არსებობს მრავალი სასაქონლო ნიშანი, რომელთა შორის მხოლოდ ერთი ასოა განსხვავებული და აღნიშნული საკმარისია, რათა ნიშნები ჩაითვალოს განსხვავებულად.

დაინტერესებული მხარის განმარტებით, აპელანტი კომპანია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ქვეშ აწარმოებს არაყს და მის მფლობელობაში არსებული ნიშნები გამოსახულებასთან ერთად შეიცავენ სიტყვიერ ნაწილს „Stalychnaia“. „STORI“ კი გამოიყენება ღვინისთვის, რაც გამორიცხავს ნიშნებს შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო

ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ამასთან, ნიშნების შედარებისას მხედველობაში მიიღება ნიშნის დაცვისუნარიანი და დომინანტი ელემენტები.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „სტორი СТОРИ STORI “ (საიდ. N81808/03) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „STOLI“ (IR 739600D) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

სადავო სასაქონლო ნიშანი „სტორი СТОРИ STORI “ (საიდ. N81808/03) შედგება სტანდარტული ქართული და ლათინური, ასევე კირილიცაზე შესრულებული სამი სიტყვიერი ელემენტისაგან, რომელთაგან კირილიცაზე და ლათინური ანბანით შესრულებული ნაწილი ასომთავრულადაა შესრულებული

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „STOLI“ (IR 739600D) წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს და შესრულებულია სტანდარტული ლათინური, ასომთავრული ასოებით.

როგორც სადავო სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ელემენტი, ისე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ხუთი ასოსაგან. ნიშნებს შორის განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ ერთ ასო - სადავო სასაქონლო

ნიშანში არსებული თანხმოვანი „R“ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანში არსებული თანხმოვანი „L“. ამასთან, აღნიშნულ თანხმოვნებს ნიშნებში აქვთ მსგავსი მდებარეობა. სადავო სასაქონლო ნიშანი ლათინური ანბანით შესრულებულ სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს ქართული ანბანით და კირილიცაზე შესრულებულ ელემენტებს, აღნიშნული ნიშნებს ვერ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან საერთო ვიზუალური შთაბეჭდილებით ნიშნები აღრევამდე მსგავსია.

სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „სტორი“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „სტოლი“. ამასთან, ბგერები „რ“ და „ლ“ ჟღერადობის მხრივ ბგერათა ერთ ჯგუფს განეკუთვნება.

მსგავსია ასევე, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, ვინაიდან, როგორც ღვინო, ისე არაყი მიეკუთვნება ალკოჰოლურ სასმელებს.

კოლეგიას მიაჩნია, რომ აღრევამდე მსგავსია სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სპირიტს ინთერნეიშენალ ბ.ვ.“ (Spirits International B.V.) N69-03/16 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 09 მარტის N457/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „სტორი СТОРИ STORI“ (საიდ. N81808/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „სტორი“-ს სახელზე რეგისტრაციის შესახებ 33-ე კლასის საქონლისა განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი